ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** ებრაისტიკა-არამეისტიკა/ Hebrew and Aramaic Studies

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი / BA in Oriental Studies

- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით: რვა სემესტრი (240 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:**

- 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისთვის სავალდებული ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ–ს ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).
  დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად.
- 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

**ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:**

- 120 კრედიტი ძირითადი სპეციალობა
  (100 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსები;
  20 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი კურსები).
- 50 კრედიტი საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები;
- 60 კრედიტი დამატებითი სპეციალობა;
- 10 კრედიტი ე.წ. თავისუფალი კრედიტი.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი და აქტუალობა:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ებრაისტიკა-არამეისტიკის** საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

ებრაისტიკა-არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი ებრაისტიკა-არამეისტიკა-ში, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა ფილოლოგიის, ისტორიოგრაფიისა და ქვეყანათმცოდნეობის დარგში.

ქართული ებრაისტიკისა და არამეისტიკის სკოლის განვითარებას განსაკუთრებული როლი ეკისრება უპირველესად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისა და კვლევის, და ასევე საკუთრივ ებრაისტიკა-არამისტიკის პრობლემატიკის კვლევის საქმეში - მოსეს ხუთწიგნეულის არსებულ ხელნაწერთა შორის კონსონანტური ტექსტის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისური ებრაული ხელნაწერი (X ს.) – „ლაილაშის ბიბლია“; მცხეთის არამეული წარწერები შუქს ჰფენს საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებს. დადგინდა მანამდე უცნობი სახეობა არამეული დამწერლობისა, „არმაზული“ და სხვ.

ებრაული და არამეული ენების სწავლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1945 წ.) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის კათედრაზე უძღვებოდა ცნობილი სემიტოლოგი აკად. კ. წერეთელი, ხოლო 1991 წელს მისი ინიციატივით დაარსდა ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრა, რომელიც წლების მანძილზე ამზადებდა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს. კათედრამ გამოუშვა ათეულობით მაღლკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც დღეს წარმატებით იღვწიან, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე პედაგოგიურ ასპარეზზე, ასევე საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებებში, კომერციულ ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სხვ.

პროგრამის მიზანია, სტუდენტებს შესძინოს კომპეტენცია ებრაისტიკა-არამეისტიკის სხვადასხვა სფეროში: კლასიკურსა და თანამედროვე ებრაულში, თანამედროვე ისრაელის ლიტერატურაში, ბიბლეისტიკაში (კლასიკური ებრაული ტექსტები – ბიბლია, თალმუდი და სხვ.), ებრაული და არამეული ენების ისტორიულ გრამატიკაში, არამეულ (სირიულ) ენაში, არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორიაში, არამეულ(სირიულ)-ქართულ ლიტერატურულ და ენობრივ ურთიერთობებში, ისრაელის ისტორიაში, თანამედროვე ისრაელის პოლიტიკურ და სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაში და სხვ.

ებრაისტიკა–არემისტიკის საბაკალავრო პროგრამა გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, დარგობრივი ცოდნის გენერირებასა და ინოვაციური სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას სემიტოლოგიის, კერძოდ, ებრაისტიკა–არამეისტიკის დარგში. შეძენილი ცოდნის ბაზაზე სტუდენტს ეძლევა ფართო არჩევანი შემდგომი

დასპეციალებისა და პროფესიული კარიერის განსაზღვრისათვის. მომავალ სპეციალისტს საშუალება ექნება შემოქმედებითად, მოცემულ დროს ბაზრის მოთხოვნისა და საკუთარი შემეცნებითი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს თავისი განათლების მიმართულება და ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქართველოში მნიშვნელოვანი ებრაული და არამეული დიასპორების არსებობა.

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება მოტივირებული სტუდენტების მოზიდვას. ასეთ სტუდენტებს აქვთ სწავლის გაგრძელებისა და პროფესიული დახელოვნების საშუალება მაგისტრატურაში.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდები

<u>სწავლის შედეგი</u>

1. ცოდნა და გაცნობიერება

**კურსდამთავრებულმა იცის:**

1.1.ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები;

1.2.საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში;

1.3. აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები;

1.4.რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით);

1.5.ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები;

1.6.ერთ–ერთი ევროპული ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)
მინიმუმ B 1 დონეზე;

1.7.ერთ–ერთი აღმოსავლური ენა (არჩევით) /რეკომენდებულია არაბული ენა/.;

აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად ებრაისტიკა არამეისტიკაზე და სემიტოლოგიის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში; აღმოსავლური ენების, თანამედროვე ებრაულის ($B_2$), ბიბლიის ებრაულისა და არამეულის საბაზისო ცოდნა, ებრაული და არამეული ენების სტრუქტურული თავისებურებების შესწავლა და ზოგადსემიტურ კონტექსტში გააზრება, აღმოსავლური ლიტერატურის, ქართულ აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების, კულტურის, ისტორიის საბაზისო ცოდნა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

2.1. ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება;
2.2. ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა;
2.3. საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ერთ–ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისურ ენაზე ან არჩევით).
2.4. ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისათვის;
2.5. ერთ–ერთი აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური და სამეცნიერო მიზნებისთვის; /რეკომენდებულია არაბული ენა/.;
2.6. ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
2.7.ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად;

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; ბიბლიოთეკის ფონდებზე მუშაობა, ტექსტების რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი. პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი; კონკრეტული, ვიწრო დარგობრივი მონაცემების გააზრება, როგორც ლინგვისტურ, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ კულტუროლოგიურ კონტექსტში; ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ფილოლოგიურ ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**

შემეცნებითი და მეთოდოლოგიური უნარი: სინთეზი და ანალიზი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ახალი მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

**დასკვნის უნარი**

სტუდენტი შეძლებს სათანადო სფეროში შეძენილი თეორიული ცოდნის კრიტიკულად გააზრებას, განსხვავებული ინტერპრეტაციების შეჯერებას, შესასწავლი ენისა და ლიტერატურის ამა თუ იმ მონაცემის გაანალიზებას და ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნის გამოტანას.

**სწავლის უნარი**
ებრაისტიკა-არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრი შეძლებს საკუთარი ცოდნის შეფასებას. გააკეთებს კრიტიკულ დასკვნებს შეძენილი ცოდნის შესახებ, კრიტიკულად შეაფასებს განსხვავებულ სამეცნიერო მოსაზრებებს, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის აუცილებლობას და შეიმუშავებს სათანადო გეგმებს.

**ღირებულებები**
ებრაისტიკა-არამეისტიკის ბაკალავრს სწავლის პროცესში უყალიბდება საკუთარი დამოკიდებულება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიმართ. ის მონაწილეობს მეცნიერული ეთიკისადმი, ზნეობისადმი საკუთარი თუ სხვათა დამოკიდებულების შეფასებაში და იღვწის ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისათვის.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**
სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:
91 -100 – ფრიადი, A;
81-90 – ძალიან კარგი, B;
71-80 – კარგი, C;
61-70 – დამაკმაყოფილებელი, D;
51-60 –საკმარისი, E;
41-50 – ვერ ჩააბარა, FX;
0-40 – ჩაიჭრა, F.
შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

**დასაქმების სფეროები:**
ბაკალავრი მზადდება აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ებრაისტიკა-არამეისტიკის სპეციალობის ბაკალავრი მომზადებულია და შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა

სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტებისათვის.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

დანართი № 1ა – ებრაისტიკა-არამეისტიკის სპეციალობის სავალდებული და არჩევითი საგნების კრედიტების განაწილება

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ებრაისტიკა–არამეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია

**დამატებითი ინფორმაცია:**

ძირითადი პროგრამის არჩევის ბოლო ვადაა II სემესტრი (მაპროფილებელი ენების სწავლება 7 სემესტრის მანძილზე გრძელდება და საბალაკავრო პროგრამის 8 სემესტრში გასავლელად ებრაული და არამეული ენების პირველ საფეხურზე სწავლების მეორე სემესტრშივე უნდა დარეგისტრირდეს სტუდენტი). ებრაისტიკა–არაემისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის საფაკულტეტო კლასიკური ან აღმოსავლური ენების 10 კრედიტი სასურველია, სხვა სემიტური ენის, კერძოდ, არაბულის შესასწავლად იქნას გამოყენებული (ეს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში საშუალებას მისცემს სტუდენტს, ახლა უკვე სამაგისტრო დონეზე გააღრმავოს ბაკალავრიატში შეძენილი არაბული ენის ცოდნა); ასევე რეკომენდებულია ევროპული ენის საფაკულტეტო სავალდებულო 10 კრედიტის გარდა, თავისუფალი 10 კრედიტის ხარჯზე, სტუდენტმა გააღრმავოს ამ ენის ცოდნა და აიმაღლოს მისი დონე თსუ ენების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ევროპული ენების დონეთა მიხედვით დიფერენცირებული სასწავლო კურსების მეშვეობით.
ებრაისტიკა–არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს სპეციალობის არჩევისას ვურჩევთ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს ქართული ფილოლოგიის, ისტორიის, პედაგოგიკის დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია სოციალურ–პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამის არჩევა. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება ებრაისტიკა–არამეისტიკის ძირითად პროგრამასთან გააფართოებს სტუდენტის ცოდნის არეალს და კურსდამთავრებულს ექნება მეტი შესაძლებლობა შრომით ბაზარზე დასაქმებისა.
არ არის რეკომენდებული დამატებით სპეციალობად რომელიმეენოვანი ფილოლოგიური პროფილის პროგრამის არჩევა, რადგან ეს ფაქტობრივად განუხორციელებელია და სტუდენტის კვირეული 20 საათიანი სასწავლო ბადიდან სრულიად ამოვარდნილი.

სოხნუთისა და ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს „მაშავის“ პროგრამით ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის სტუდენტები გადიან მოკლე და გრძელვადიან სტაჟირებას ისრაელის უნივერსიტეტებში. მათ აქვთ საშუალება შეიძინონ უახლესი სასწავლო ლიტერატურა და აქვთ ასევე შესანიშნავი პრაქტიკა სასაუბრო ებრაულში.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:** იხ. დანართი № 3

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური კადრებით – ორი ასოცირებული პროფესორი და მოწვეული სპეციალისტები.

1. **მარიამ ჩაჩიბაია**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაისტიკა-არამეისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი.
2. **მამუკა ბუცხრიკიძე**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი
3. **დარეჯან სვანი**
   ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის დოქტორი
4. **მაკა გოცირიძე**
   ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების ასოცირებული მკვლევარი
5. **მარინა მეფარიშვილი**
   ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების ასოცირებული მკვლევარი
6. **რევაზ გაჩეჩილაძე**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სრული პროფესორი
7. **მერაბ ტიკაძე**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
8. **ლალი გულედანი**
   ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებას ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტს საბაკალავრო პროგრამისათვის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, კერძოდ:

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის კუთვნილი ორი კეთილმოწყობილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლების სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერით, ინტერნეტით, აუდიო და ვიდეო კასეტებით, მაგნიტოფონით, კომპაქტ-დისკებით).

სტუდენტისათვის საჭირო ლიტერატურის მოძიება შეიძლება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** ებრაისტიკა–არამეისტიკა / **Hebrew-Aramic studies**

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 40 ESTC კრედიტი სპეციალობისათვის სავალდებულო კურსებისათვის, 20 ESTC კრედიტი დამატებითი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია, სტუდენტებს შესძინოს კომპეტენცია ებრაისტიკა-არამეისტიკის სხვადასხვა სფეროში: თანამედროვე ებრაულში, თანამედროვე ისრაელის ლიტერატურაში, ბიბლეისტიკაში, არამეულ (სირიულ) ენაში, არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორიაში, არამეულ(სირიულ)-ქართულ ლიტერატურულ და ენობრივ ურთიერთობებში.

პროგრამის მიზანია ძირითადი ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტებს შესძინოს დამატებით ცოდნა ებრაისტიკა–არამეისტიკის დარგში, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს კულტურულ–ისტორიული, ტექსტის ლინგვისტიკის და ენობრივი სისტემების ასპექტით მიუდგეს ძველ ქართულ თარგმანებს და აპრობირებული მეთოდიკის საფუძველზე შეისწავლონ ისინი.

შეძენილი ცოდნის ბაზაზე სტუდენტს ეძლევა არჩევანი შემდგომი დასპეციალებისა და პროფესიული კარიერის განსაზღვრისათვის. მომავალ სპეციალისტს საშუალება ექნება შემოქმედებითად, მოცემულ დროს ბაზრის მოთხოვნისა და საკუთარი შემეცნებითი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს თავისი განათლების მიმართულება და ხარისხი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** წინაპირობის გარეშე.

სწავლის შედეგი:

| ცოდნა და გაცნობიერება | |
|---|---|
| 1. აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა;<br>2. წარმოდგენა ზოგადად ებრაისტიკა–არამეისტიკაზე და სემიტოლოგიის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში; | თანამედროვე ებრაული ენა (B2), არამეული (სირიული) ენა, ქართულ–სირიული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები |
| 3. აღმოსავლური ენების, თანამედროვე ებრაულის, არამეულის (სირიული ენის) საბაზისო ცოდნა; | ებრაული ლიტერატურის ისტორია, არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორია |
| 4. აღმოსავლური ლიტერატურის, კერძოდ, ებრაული ლიტერატურის ისტორიისა და არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორიის საბაზისო კურსი; | არამეულ (სირიული) ლიტერატურის ისტორია, არამეულ–(სირიულ)–ქართული ლიტერატურული და ენობრივი ურთიერთობები. |
| 5. ქართულ–აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობები; | თარგმანის თეორია და პრაქტიკა |
| 6. თანამედროვე ებრაულიდან ქართულად და ქართულიდან თანამედროვე ებრაულზე თარგმნის | ისრაელის თანამედროვე მდგომარეობა<br>ლექცია–სამუშო შეხვედრა |

| | |
|---|---|
| ზოგიერთი თავისებურება, პრაქტიკული გამოცდილება.<br>7. თანამედროვე ისრაელის პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ. | |
| **ცოდნის პრაქტიკული გამოყენება/პრაქტიკული უნარები:**<br>• თანამედროვე ებრაულ ენაზე სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული თხზულებების ტექსტების, სამეცნიერო, იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტების, პრესის მასალის კითხვა და მიმოხილვა, კომენტირება და თარგმნა სპეციალური ლექსიკონების დახმარებით;<br>• არამეული (კლასიკური სირიული) ენის მორფოლოგიის და ნაწილობრივ მორფოსინტაქსის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევს სტუდენტს დაამუშაოს სხვადასხვა ჟანრის ადაპტირებული სირიული ტექსტები;<br>სტუდენტს აქვს ტექსტებზე მუშაობის უნარ-ჩვევები, გარკვეული ლექსიკური მარაგი, რაც შესაძლებლობას აძლევს მას სპეციალური ლექსიკონების გამოყენებით წაიკითხოს, დაამუშავოს, თარგმნოს გახმოვნებული ტექსტები.<br>• სტუდენტს აქვს ცოდნა ახალი ებრაული მწერლობის შესახებ. ის შეისწავლის თანამედროვე ებრაულ მწერლობას, როგორც უძველესი, ბიბლიური ძირების მქონეს და იმავდროულად ულტრათანამედროვე ფენომენს, რომელიც დღეს აქტიურადაა ჩართული | თანამედროვე ებრაული ენა, სათარჯიმნო პრაქტიკუმი<br><br>არამეული კლასიკური (სირიული) ენა, სირიულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები<br><br>ებრაული ლიტერატურის ისტორია |

| | |
|---|---|
| მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში. | |
| **დასკვნის უნარი**<br><br>სტუდენტი შეძლებს სათანადო სფეროში შეძენილი თეორიული ცოდნის კრიტიკულად გააზრებას, განსხვავებული ინტერპრეტაციების შეჯერებას, შესასწავლი ენისა და ლიტერატურის ამა თუ იმ მონაცემის გაანალიზებას და ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნის გამოტანას. | |
| **კომუნიკაციის უნარი**<br>შემეცნებითი და მეთოდოლოგიური უნარი: სინთეზი და ანალიზი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ახალი მონაცემების ანალიზის უნარი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. | |
| **სწავლის უნარი**<br>ებრაისტიკა-არამეისტიკის დამატებითი სპეციალობის პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტი შეძლებს საკუთარი ცოდნის შეფასებას. გააკეთებს კრიტიკულ დასკვნებს შეძენილი ცოდნის შესახებ, კრიტიკულად შეაფასებს განსხვავებულ სამეცნიერო მოსაზრებებს, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის აუცილებლობას და შეიმუშავებს სათანადო გეგმებს. | |

| | |
|---|---|
| **ღირებულებები**<br>ებრაისტიკა-არამეისტიკის დამატებითი სპეციალობის პროგრამის გავლის პროცესში სტუდენტს უყალიბდება საკუთარი დამოკიდებულება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიმართ. ის მონაწილეობს მეცნიერული ეთიკისადმი, ზნეობისადმი საკუთარი თუ სხვათა დამოკიდებულების შეფასებაში და იღვწის ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისათვის. | |

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.
დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

**დასაქმების სფეროები:**
კურსდამთავრებული წარმატებით გაართმევს თავს საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკურ, მხატვრულ-კრიტიკულ საქმიანობას. ებრაისტიკა-არამეისტიკის დამატებითი სპეციალობის პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ებრაისტიკა–არამეისტიკის დამატებითი სპეციალობის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშავოს თარჯიმნად. საქართველოში მრავალი ებრაული და ქართულ–ებრაული ორგანიზაცია არსებობს, ამდენად, კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა დიდია.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:**
ებრაისტიკა–არამეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია

**დამატებითი ინფორმაცია:**
ებრაისტიკა–არამეისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დაწყება მიზანშეწონილია სწავლების მეოთხე სემესტრიდან. სასურველია დამატებით საბაკალავრო პროგრამა გაიარონ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, კავკასოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების სტუდენტებმა.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური კადრებით – ორი ასოცირებული პროფესორი და მოწვეული სპეციალისტები.

9. **მარიამ ჩაჩიბაია**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაისტიკა-არამეისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი.
10. **მამუკა ბუცხრიკიძე**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი
11. **დარეჯან სვანი**
   ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის დოქტორი
12. **მაკა გოცირიძე**
   ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების ასოცირებული მკვლევარი
13. **რევაზ გაჩეჩილაძე**
   ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სრული პროფესორი

14. **მერაბ ტიკაძე**
    ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
15. **ლალი გულედანი**
    ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ებრაისტიკა–არამეისტიკის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** ებრაისტიკა–არამეისტიკა / **Hebrew-Aramic studies**
**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 40 ESTC კრედიტი სპეციალობისათვის სავალდებულო კურსებისათვის, 20 ESTC კრედიტი დამატებითი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის.
**სწავლების ენა:** ქართული ენა
**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია, სტუდენტებს შესძინოს კომპეტენცია ებრაისტიკა-არამეისტიკის სხვადასხვა სფეროში: თანამედროვე ებრაულში, თანამედროვე ისრაელის ლიტერატურაში, ბიბლეისტიკაში, არამეულ (სირიულ) ენაში, არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორიაში, არამეულ(სირიულ)-ქართულ ლიტერატურულ და ენობრივ ურთიერთობებში.

პროგრამის მიზანია ძირითადი ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტებს შესძინოს დამატებით ცოდნა ებრაისტიკა–არამეისტიკის დარგში, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს კულტურულ–ისტორიული, ტექსტის ლინგვისტიკის და ენობრივი სისტემების ასპექტით მიუდგეს ძველ ქართულ თარგმანებს და აპრობირებული მეთოდიკის საფუძველზე შეისწავლონ ისინი.

შეძენილი ცოდნის ბაზაზე სტუდენტს ეძლევა არჩევანი შემდგომი დასპეციალებისა და პროფესიული კარიერის განსაზღვრისათვის. მომავალ სპეციალისტს საშუალება ექნება შემოქმედებითად, მოცემულ დროს ბაზრის მოთხოვნისა და საკუთარი შემეცნებითი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს თავისი განათლების მიმართულება და ხარისხი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** წინაპირობის გარეშე.

**სწავლის შედეგი:**

| | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება**<br><br>8. აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა;<br><br>9. წარმოდგენა ზოგადად ებრაისტიკა–არამეისტიკაზე და | |

| | |
|---|---|
| სემიტოლოგიის სკოლის ტრადიციებზე საქართველოში;<br><br>10. აღმოსავლური ენების, თანამედროვე ებრაულის B1 დონეზე ცოდნა, არამეულის (სირიული ენის) საბაზისო ცოდნა;<br><br>11. აღმოსავლური ლიტერატურის, კერძოდ, ებრაული ლიტერატურის ისტორიისა და არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორიის საბაზისო კურსი;<br><br>12. ქართულ–აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობები;<br><br>13. თანამედროვე ებრაულიდან ქართულად და ქართულიდან თანამედროვე ებრაულზე თარგმნის ზოგიერთი თავისებურება, პრაქტიკული გამოცდილება.<br><br>14.თანამედროვე ისრაელის პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და სხვ. | თანამედროვე ებრაული ენა, არამეული (სირიული) ენა, ქართულ–სირიული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები<br><br>ებრაული ლიტერატურის ისტორია, არამეული (სირიული) ლიტერატურის ისტორია<br><br>არამეულ (სირიული) ლიტერატურის ისტორია, არამეულ–(სირიულ)–ქართული ლიტერატურული და ენობრივი ურთიერთობები.<br><br>თარგმანის თეორია და პრაქტიკა<br><br>ისრაელის თანამედროვე მდგომარეობა |
| **ცოდნის პრაქტიკული გამოყენება/პრაქტიკული უნარები:**<br>• თანამედროვე ებრაულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების, პრესის მასალების და ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტების კითხვა და თარგმნა სპეციალური ლექსიკონების დახმარებით;<br><br>• არამეული (კლასიკური სირიული) ენის მორფოლოგიის და | თანამედროვე ებრაული ენა, სათარჯიმნო პრაქტიკუმი<br><br>არამეული კლასიკური (სირიული) ენა, სირიულ– |

| | |
|---|---|
